



# საქრებულო

1993  
ნოემბერი  
14  
იანვარი  
№ 2 (10593)  
ფანი 5 მანეთი

საქრებულო  
პრეზიდიუმი  
საქრებულო  
პრეზიდიუმი

უზგდინის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი      გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან

14 იანვარი — ნინოგაბია

ქართული კალენდრის უმშვენიერეს ფურცლად აღიარებულია 14 იანვარი—ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს ხსენების დღე. ქართლის გაქრისტიანება დაკავშირებულია წმინდა ნინოს სახელთან, რომლის ცხოვრებაც და მოციქულებრივი მოღვაწეობის ამბები მოთხრობილია

ენიმე ათეული სხვა ქალწული სომხეთში გაქცეულა. მათ თან გაჰყოლია ნინოც. სომხეთის მეფემ თრდატმა, რომელიც ჯერ კიდევ წარმართი იყო, ისინი აწამა. ნინო ცოცხალი გადარჩენილა და ღმერთის ჩაგონებით ჩრდილოეთისაკენ წასულა; ჭავჭავთში გადასულა, იქიდან დიდი გაჭირვებით ურბნისისათვის მი-

ველარ გაიგნო. შეშინებულმა მირიანმა ჯერ თავის ღმერთებს მიმართა, შეველა რომ ვერ მიიღო, ნინოს ღმერთს შეევედრა ხსნას. მართლაც მაშინვე განათდა და მეფემ იწამა ქრისტეს ძალა. მეორე დღევე მირიანმა და ნინომ შეუთვალეს თხოვნა კეისარ კონსტანტინეს, მოსანათლად მღვდლები გამოეგზავნა, თვითონ კი ეკლესიის შენებას შეუდგნენ მეფის ბაღში. მშენებლობისას ღმერთმა ასეთი სასწაული მოავლინა: მშენებლებმა ვერაფრით ვერ ასწიეს ეკლესიის მთავარ სვეტად გამზადებული ნაძვის ხის ბოძი. საღამოს დამწუხრებულნი მეფე და ხალხი დაიშალნენ, ნინო კი ღოცვად დადგა. მრავალი საშინელი ჩვენების შემდეგ ციდან ჩამოეშვა ცეცხლის ზეწარში გახვეული ქაბუკი და ბოძი ზევით აიბაცა და შემდეგ ნელნელა ჩამოუშვა და დააქუნა შუაგულ ეკლესიაში. ამ საოცრების სანახავად მეფე და მთელი ხალხი მოვიდნენ და, აი, განცვიფრებული მნახველების თვალწინ ბაქრში დაკიდული ბოძი დაეშვა და თავის საფუძველზე განმტკიცდა. შემდეგში ამ სვეტმა მრავალი სასწაული მოახდინა.

ამ ინფორმაციული გაკუთმის პირობებში, როცა ორ კვირაში ერთხელ თუ გვედრდება რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთები სათვის თვალის გადავლების შესაძლებლობა, ერთიორად, მატულაობს ტელევიზიის როლი. უსახსრობით, დეფიციტებით, ათასნაირი ყოფითი სიძნელეებით დაწვლიანებული ადამიანები მივ-

სტრესებისაგან, მაგრამ გააჩნა რას შესთავაზებ და როგორი ფორმით. „ნაღდი შოუს“ იაფფასიანი ეკლექტიკა და, ცალკეული „მოდერნისტული“ სტილით შეკოწიწებული პროგრამები არაფერს ეუბნება მყურებელს. ვერაფრით ვერ დამკმაყოფილა, პირიქით, გამაღიზიანა კიდევ სოსო პავლიაშვილის მო-

## შთაბამზდელიაა ზომიერებაც კარგი ს ა ქ ო ნ ე ლ ი ა

## ქართველი განმანათლებელი

მრავალ უცხოურ და ქართულ ისტორიულ წყაროებში. ქართული ეროვნული ტრადიცია წმინდა ნინოს ცხოვრებამოღვაწეობის შესახებ ასეთია: სახელგანთქმულ კაპადოკიელ სარდალს, ქრისტიანობის გამავრცელებელ ზაბილონსა და იერუსალიმის პატრიარქ იუბენ-ლის დას, სულხანს ჰყავდათ ასული ნინო. როდესაც ნინო თორმეტი წლისა შეიქნა, მისმა მშობლებმა მთელი თავისი ქონება გაჰყიდეს, ყველაფერი გლ-ხაკებს დაურჩიეს, თვითონ კი საერო ცხოვრება მიატოვეს და ღმერთის სამსახურს მისცეს თავი. მარტოდ დარჩენილი ნინო ორ წელიწადს იყო იერუსალიმში ერთ ღვინელ სომეხ ქალთან, რომელიც ქრისტიანული რჯულის საუკეთესო მცოდნე ყოფილა. ქრისტეს მსახურებისათვის მოწადინებული ნინო შემდეგ მოხვდა სამეფო წარმოშობის ქალ რიფსიმესთან, რომის კეისარის, რომელიც წარართი იყო, მოუსურვებდა ულამაზესი რიფსიმეს ცოლად შერთვა, მაგრამ უბიწობის აღქმადანებული რიფსიმე და მასთან ერთად რამდ-

ულწევია, ურბნისიდან კი მცხეთისაკენ საღოცავად და სავაქროდ მიმავლებს გაჰყოლია და ქართლის დედაქალაქში ჩასულა. მცხეთაში ნინომ ნახა, როგორ ემსახურებოდა ხალხი ადგილობრივ კერაებს: არმაზს, გცხა და გაიმს. ნინოს ვედრების თანახმად ღმერთმა საშინელი ავდარი მოაწია და სეტყვით მთლად დაამსხვრია კერაები. ამის შემდეგ ნინოს ცხრა თვე უცხოვრია მეფის ბაღის მცველთან (ეს ბ-ლი უოფილა იქ, სადაც სვეტიცხოვლის ტაძარია). შემდეგ ნინოს ვაჟის ნახსენებიაგან გაუკეთებია ჭვარი, ერთ მავჯლის ბუჩქში დაუდგამს და თვითონაც იქ დასახლებულა. ექვსი წლის განმავლობაში ცხოვრობდა იქ ნინო და ჯერ ფარულად, ხოლო შემდეგ აშკარად ქადაგებდა ქრისტეს რჯულს და მრავალ სასწაულსაც ახდენდა. ბოლოს მან უკურნებელი სენისაგან განკურნა დედოფალი ნანა და ბევრი სხვა. ერთხელ, ივლისის ოცს, შაბათს, მეფე მირიანი მუხრანისაკენ წავიდა სანადიროდ. უცბად, მთაზე ასულ მეფეს მზე დაუბნელდა და გზა

კეისრისაგან გამოგზავნილმა სამღვდელო პირებმა მეფე, მისი ოჯახი, დიდებულები და ხალხი მტკვარში მონათლეს. ცოტა ხნის შემდეგ წმინდა ნინო წავიდა ქრისტიანობის საქადაგებლად ხევში, ერწოთიანეთში, ფშავხევსურეთში, თუშეთში, მერე გადავიდა კუხეთში, სადაც დასნულდა. წმინდა ნინო მიიცვალა 338 წლის 14 იანვარს და დაბა ბოდინში დაიმარხა.

ჩერებევართ ცისფერ ეკრანს. ესეც გარკვეული შეღავათია, შევბაა. ახალ ამბებს მაინც გაიგებ, რამდენიმე წუთით მაინც მოწყდები უნუგეშო რეალობას. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ტელევიზიამ დაკარგოს რეალობის განცდა და თავისი გადაცემებით კიდევ უფრო გააღიზიანოს ისედაც შეშინებული მაყურებელი. არ ვიცი, შესაძლოა ვცდებოდე, მაგრამ ბოლო ხანებში ნაჩვენებ ზოგიერთი მსუბუქი ენარის სიუჟეტების ფართო მაყურებლებისათვის ამ სახით წარმოდგენა არამართებულად მიმაჩნია. ეს განსაკუთრებით ეხება მუსიკალური გადაცემების რედაქციას. არა მგონია მის მესვეურებს სწორად ჰქონდეთ შერჩეული პროგრამების შედგენის პრინციპი: ვფიქრობ, გემოვნებაც შიგადაშიგ ლაღატოთ. გვესმის, მაყურებელთა განტვირთვაც საჭიროა კმდენი

ნაწილებით ამასწინათ გამართულმა კონცერტმა. გვესმის, ნიჭიერი, თანამედროვე და საკმაო პოპულარობაც მოიპოვა, მაგრამ ჩვენი აზრით მან უნდა გადასინჯოს თავისი ხელოვნების სტილისტიკა, შესრულების მანერა. გამუდმებული ყვირილით, კვილით მხოლოდ ზერეკე მსმენელს თუ მოხიბლავ დღეს. შესაძლოა მავანს რეტროგრადად მოვეჩვენო, მაგრამ ჩემს დამოკიდებულებას გულწრფელად გამოვხატავ. მაშინ, როცა ქვეყანა სამაშულო ომშია ჩათრეული, როცა მას ყოველდღე ათეულობით ვაჟაკის სიცოცხლე ეწირება, როცა სოხუმსა, თუ ოჩამჩირეში ხალხი ელემენტარულ საარსებო პირობებს მოკლებულია, ქართული ტელევიზია ვითარების შესაბამისად, უფრო სადა, უბრავე ტენზიო ფორმებით და საშუალებებით უნდა აღგენდეს პროგრამებს.

ა. ალანია.

## ახალი კომიტეტი მუშაობას შეუდგა

ახლახან მუშაობა დაიწყო სახელმწიფო საბჭოსა და პარლამენტის მიერ შექმნილმა ლტოლვილთა და განსახლების სახელმწიფო კომიტეტმა. ტერიტორიულად იგი ნაძალადევის რაიონის გამგეობის შენობაში დაემკვიდრა. ამ დღეებში აქ შეკრებილი რეკონსტრუქციის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლებს კომიტეტის თავმჯდომარე ბატონმა ვალერი ვაშაკიძემ გააცნო იმ საკითხების ვრცელი ნუსხა, რომელიც უნდა გადაწყდეს ძირითადად აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებულთა პრობლემების მოსაგვარებლად. ერთ-ერთი მთავარი საკითხი

აფხაზეთ-სამაჩაბლოდან 66 ათასი ლტოლვილისათვის, ნოემბერ-დეკემბრის ფულადი დახმარების დავალიანება (165 მილიონი მანეთი) იყო, რაც ფინანსთა სამინისტროს და ეროვნული ბანკის მესვეურებმა ურთიერთშეთანხმებით ადგილზე გადაწყვიტეს. ითქვა, რომ იანვრის პირველ ნახევრამდე კომიტეტი ამ დავალიანებას მთლიანად გასცემს. ამასთან, რესპუბლიკის ყველა რაიონში ლტოლვილებისათვის გაისხნება შემნახველო სალონები, სადაც ისინი მიიღებენ როგორც ამ თანხას, ასევე შემდგომ დახმარებას. გაისხნება ლტოლვილთა სპეციალური მაღაზიები. სხვა საკითხებთან ერთად თბილისში ლტოლვილ წევრადელთა საკითხიც დაისვა და საყოველთაო გაწვევის ფონზე 18-დან 50 წლამდე მამაკაცთა ასაკით განისაზღვრა. ასევე დადებოდა გადაწყვეტილება ლტოლვილთა დროებითი შრომითი მოწყობისა და მათთვის დროებით სარგებლობაში საბაღე ნაკვეთების გამოყოფის საკითხიც.

თათბირზე საქმიანი წინადადებებით გამოვიდნენ რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი მირიან მურჯინელი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ბატონი ირაკლი მენაღარიშვილი და სხვები. თათბირის მუშაობა შეაჯამა რეკონსტრუქციის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილემ ავთანდილ მარგინამ. დიმიტრი მუხაშვილი. ლტოლვილთა დახმარების სახელმწიფო კომიტეტის პრეცენტრის ხელმძღვანელი.

## საერთაშორისო ჯილდო ზ. გამსახურდიას

ყოველი ქართველი მოღვაწის საერთაშორისო აღიარება სიამაყისა და ეროვნული ღირსების გრძნობას უმაღლეს ჩვენს ხალხს, ამჯერადაც დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ჩვენი ადამიანები გაზეთ „საქართველოს სამრეკლოში“ (№ 2) გამოქვეყნებულ ცნობას იმის შესახებ, რომ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს რესპუბლიკის დევიდ პრეზიდენტს ბ-ნ ზვიად გამსახურდიას ებოძა ფრიალ პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდო—ალბერტ შვაიცერის სახელ

ობის „მშვიდობის მედალი“. ამის შესახებ ინფორმაცია, გერმანიის დეპუტატი სააგენტოზე დაურდნობით, გადაუცია „რადიო დი ლოიჩე ველს“. როგორც საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებები აღნიშნავენ, პრემია მიანიჭებულა მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის გატარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვაში ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის ბ-ნ ზ. გამსახურდიას პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის დროს. „იბერიკა-საქმტრი“











არა მხოლოდ პურით ცხოვრობს კაცო, იტყვიან ხოლმე და ამ ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა არავის ძალუბს. მატერიალური ნივთების დეფიციტზე ნაკლებად როდი განიცდიან ადამიანები სულიერ ვაკუუმს. ჩვენი გაუსაძლისი ყოფა თვალნათლივ მიგვანიშნებს, თუ რა ტენი უთქმელ ტკივილებთან, შინაგანი უკმაყოფილების განცდასთან არის დაკავშირებული ისეთი აბსურდული გარემოების შექმნა, როდესაც პიროვნებას მინიმალურად არ შეუძლია დაიკმაყოფილოს ეს თეტიკური მოთხოვნები.

ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის თეატრისადმი გულგრილი არასოდეს ყოფილან ჩვენი თანაქალაქელები. არაერთი საინტერესო, ამდღეუბელი სპექტაკლებიც უნახავთ. მაგრამ იგი დღეს, სამწუხაროდ, დადუმებულია. ყველამ უწყის, თუ რა არის ამის მიზეზი. ბოლოდროინდელი რთული მოვლენები არ იქნევა იმის შესაძლებლობას, რომ თეატრის დასმა შემოქმედებითი ცხოვრებით იცხოვროს. მაგრამ

დასის წევრები ფარხმალს როდი ყრიან. ისინი ყოველწლიურად ცდილობენ უახლოეს ხანებში მდგომარეობა სასიკეთოდ შეცვალონ. აი, რა გვითხრა თეატრის წამყვანმა მსახიობმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ბადრი ცომაიაშ:

ეზის ქვეშ ვიმყოფებით. იყო მცდელობა. თეატრის დირექტორს და სახმატრო ხელმძღვანელს მ. რატიანს განებორციელებინა შალვა დადიანის ცნობილი პიესა „გუშინდელი“. კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, დ. შენგელაიას „ბათა ქექია“. ამ უკანასკნელი სპექტაკლით თურქეთშიც ვიყავით მიწვეული, მაგრამ ცნობილმა მოვლენებმა ხელი შეგვიშალა. ასევე ვერ მოხერხდა რეჟისორ ნ.

რატინის მიერ წამოწყებული რეპეტიციების გაგრძელება. მ. ბერაძის პიესაზე „ძალა ერთობაშია“ და თურქი დრამატურგის ა. ნესინის კომედიის „მომკალ, მომკალ ჩემო კარგო“. რაღა თქმა უნდა, ვითარების სასიკეთოდ შეცვლის კვალობაზე ყველა ამ ნამუშევრებს წარმოვადგენთ. თეატრის წარმომადგენლები იმედით შევსტყვირთ ხვალინდელ დღეს გვენატრება მყურებელთან შეხვედრა. ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს მალე მოხდება.

ჯ. თელია

ადმოსავლური ჰოროსკოპი გვთავაზობს

მ ა მ ა ლ ი

1998 წელი ადმოსავლური ჰოროსკოპის თანახმად მამლის წელია (1921, 1933, 1945, 1957, 1969, 1981, 1993). მკითხველთვის საინტერესოა, ალბათ, როგორი თვისებებით გამოირჩევიან ამ წელს დაბადებული ადამიანები. როგორც ჩინური ჰოროსკოპი გვატყობინებს, მამალი ავყა და აგრესიულია. აქვს მისწრაფება ეგოიზმისკენ. არ აღივსება სხვათა გულიანტკივილი და მიაჩნია, რომ არ არსებობს არავითარი მიზეზი მათ დასანდობად. მამალი ნადი კონსტრუქტორია, რაც პოლიტიკურ შეზღუდულებსაც ემჩნევა, და რასაკვირველია, თავის საზიანოდ. მას ჰგონია, რომ სავსებით მართალია და იცის, რა უნდა აკეთოს. არავის ენდობა, მხოლოდ თავისი იმედით არის. ამასთან გულუხვად არივებს რჩევებს. მამალს უყვარს ოცნება, გვირგვინი, საკუთარი თავის წარმოდგენა გმირად, მაგრამ ამას აკეთებს შინაურ სიმყუდროვესა და საშინაო ფლოსტებში ფეხგაყრდით. იგი ფილოსოფოსია,

თუმცა ბევრი აზრები აქვს და უყვარს იმპროვიზირება. მამალი მორცხვი როდია, ბირიქით მამაცი და გაბედულია, და თუ ეს აუცილებელია, სიკვდილს ღიმილით შეეგებება. იგი მუდამ მეტის გაკეთების ცდილობს, ვიდრე შეუძლია და ისეთ ამოცანებს ებედობა, რომლებიც მის ძალებს აღემატება, ხოლო თუ ვერ ახერხებს მათ შესრულებას კარგად, ცალზე წუხს. მამალს ფული უშრომველად არ უცვივდება ციდან „ნისკარტში“. მან უნდა იმუშაოს, რათა უზრუნველყოს თავისი ცხოვრება და თუ მისი მოქმედების არე კეთილ-სასურველია, შეიძლება გამდიდრდეს კიდევ. უნარი აქვს ფული არაკეთილშობილური გზითაც იშვავოს. მამალს უნარი აქვს გაუძღვეს სოფლის მეურნეობას და იმ პროფესიებს, სადაც გაუღმებელი უნდა-შემოხლა მოუხდება სხვებთან. უყვარს თავის მოწონება. იგი მფლანგველია, უმალ ხარჯავს იმას, რასაც შრომით შოულობს. მიდრეკილება დიდი ფინანსური რისკი-

სადმი. ხშირად შეიძლება გაოტრებამდე მივიდეს. მამალი სიყვარულშიც სინელებს აწუდება. იგი ხშირად გულგატეხილია, ვინაიდან სინამდვილე მუდამ როდი შეესაბამება მის ოცნებას. მამაკაც-მამალს უყვარს ქალთა საზოგადოება, რომელთა შორისაც შეუძლია გაიბრწინოს და ინვარდოს, ეტრფოდნენ და ეტრფიალოს. მამაკაცი ბი კი ხშირად თავს აბეზრებენ. მამალი ბედნიერი იქნება ხართან (1925, 1937, 1949, 1961, 1973, 1985, 1997) იგი შეძლებს გველთან (1929, 1941, 1953, 1965; 1977; 1989; 2001) იფილოსოფოსოს. სავსებით კმაყოფილი იქნება დრაკონთან (1928; 1940; 1952; 1964; 1976; 1988; 2000). მამალს ექნება აღმავლობაც და დაღმა სვლებიც. მისი გზა სიღატაკიდან სიმდიდრისკენ მიდის. მას ბედნიერი სიბერე ელის. სალხური სიბრძნე დაადებს; რომ „ორი მამლის ერთ სახლში ცხოვრება აუტანელია“.

ხ ს ო ვ ნ ა

„რალაა ჩვენი სიცოცხლე...“

—ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება, რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტვით, გავვიფრინდებო... — კვნიის გიტარა და... მღერის ჭეშმარი. ორმოცი დღის წინ გაცილა იგი მშობლიურმა ქალაქმა. გაცილა ბრმა ტყვიის მსხვერპლი... ჭეშმალ მიშურას ძე სართანია, პროფესიით ტექნოლოგი, მაგრამ სიმღერის ტრფიალი უყვარდა ქალაქს, ვით მისივე მასწავლებელი, გიტარაზე დაკვრის ვირტუოზი, მიშურას მეგობარი დათო უფუარაძე. ჭეშმალს მეორე სკოლის მოსწავლე იყო, დათო მსახიობი. როცა ოჯახში დათო სტუმრობდა, ზეიმი იყო სართანებთან. და ერთხელ დათო მიშურას ასე გაეხუმრა: „ბიჭო, სულს მეთი არაფერი გამაჩნია, არადა, რაიმე მინდა „ვაჩუქო“ შენს ოჯახს, დამრთე ნება ჭეშმალს ვასწავლო გიტარაზე დაკვრა, მას ხომ საუკეთესო ხმა და სმენა აქვს...“ ცამეტი წლის ჭეშმალს, თვალს ადევნებდა, თუ როგორ ჩამოკრავდა თითებს სიმებზე გიტარ-

ისტი. მღეროდნენ ერთად. ამ დღიდან სიცოცხლის ბოლომდე გიტარა იყო მისი გატაცება. მღეროდა შრავალ ენაზე, მღეროდა სევდანარევი ხმით... შრომას ბავშვობიდან შეთვისებული, დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა მოვალეობას ჩაის კომბინატ „ლოდში“, ზუგდიდის ჩაის ექსპერიმენტულ კომბინატში, სწორედ ამ კოლექტივებს დასწყვიტა სხვაზე მეთად გული. სტუდენტ თემურისა და მეჩვეკლასეულ ლიანას აღარა ყავთ სათაყვენბელი მამა. ჭეშმალს მამის, იმურისა და ყოფილი ფეხბურთელის საფლავის გვერდით დაიდო ბინა. ქალბატონ ნადიას და მის დას თათულის კი დარჩათ სემღერის ჩანაწერები, რომელთაგან გამორჩეულს „ბინდისფერია სოფელს“... უსმენენ და ცრემლად იღვრებიან ო,ახის წევრები. მართლაც ბინდისფერი იყო ჭეშმალის ცხოვრება აქ. მაცხოვარს შევთხოვთ იმ საუფლოში მაინც ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული.

ბ. აბულაძე

მწვავე სიგნალი

რა მოგუხერხოთ ნაგავს?

წინა წლებში ბევრი იწვიებოდა ჩვენი ქალაქის სისუფთავესა და წესრიგზე, რა შეგონებები თუ მოწოდებები გვემოდა, მაგრამ თავი მოსაწონად ამ მხრივ მაინც არ გვქონდა. დღეს უფრო უარესადაა საქმე. მოუვლელი, დანაგვიანებული ეზოების, სკვერებისა და გაზონების დანახვამ არ შეიძლება გული არ გატყინოს. მომრავლდა სტიქიური ნაგავსაყრელები, რომელსაც ღორები და მაწანწალა ძაღლები ბუზებივით ესევიან. ამ მხრივ მოუთმენელი მდგომარეობაა არქივის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე,

რესპუბლიკური საავადმყოფოს ეზოში, ბულვარსა და სხვა ადგილებზე. სწავალალო მდგომარეობაშია ქალაქის მცენარეული საფარი, ვერა და ვერ აღიკვეთა პირუტყვის თარეში, რაშიც ღორების წილი მათსავე მეპატრონეებს მიუძღვით. კარგად მესმის, რომ საწვავის დეფიციტის გამო ნაგავს ტრანსპორტირება ვერ ხერხდება, მაგრამ რაღაც საშუალება მაინც უნდა გამოიძებნოს, თორემ ღორების ნაგავმა შეჭამოს ქალაქი.

ბ. ალშიბანი

მთისა და ბარის ამბავი

ინდონეზიის ქალაქ ბანდუნგის 32 წლის მცხოვრები ტომი სუშარტო აპირებს მიმდინარე წლის დეკემბრიდან ასი დღეღამე გაატაროს რამოდენიმე ასეული კობრის „საზოგადოებაში“.

ასი დღე კობრების „საზოგადოებაში“

მან მტკიცედ გადაწყვიტა გააუმჯობესოს შეერთებული შტატების „სპორტსმენის“ მიღწევა, რომელმაც 46 დღეღამე გაატარა შხამიან გველებთან და შევიდეს გინესის მსოფლიო რეკ-

ორდების წიგნში. ამას იმიტომ სჩადის რომ „სახელი გაუთქვას ინდონეზიასა და თავის ხალხს“, „შხამიან გველებთან ყოფნა ჩემი ჰობია“, — თქვა ტომი სუშარტომ, რომელმაც შარშან კობრების „საზოგადოებაში“ 44 დღეღამე გაატარა, — წერს გერმანული ყურნალი „გუტენ ტაგი“. (1992 წ. № 22).

სარედაქციო კოლეგია

კვირფასო მკითხველბო ბოხოვთ, გამოიყაროთ გაჯეთი „ოდიში“.